ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 72

ქ. თბილისი 1 ივნისი 2016 წელი

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიურო (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის პირველი მოადგილის დავით ჭილაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: შპს „ოქეი"-ის (შემდგომში-მიმწოდებელი) დირექტორის მერაბ წულუკიანის სახით. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ორბელიანის ქ. №35. ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2. ს/კ 204560901 საბანკო რეკვიზიტები: სს. საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი GE95BG0000000941704200

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,ს[1]" ქვეპუნქტების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ორი ერთეული მაცივრის FRESH ELEQTRONICS **(CPV39700000-საოჯახი ტექნიკა,)** სახელმწიფო სახსრებით შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 698.00 (ექვსას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და ნული თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს და ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადახდო დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიწოდების ვადა, ადგილი

4.1. მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ც. დადიანის 30 მე-3 სართული.

4.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღე

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს, ლოგისტიკის განყოფილების უფროსი, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და წარმოადგენს საკონტაქტო პირს.

6.2. გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, სათანადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადახდო დოკუმენტაციის თანდართვით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ერთი ,,შემსყიდველთან".

შემსყიდველი:

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო

დირექტორის პირველი მოადგილე

დავით ჭილაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ოქეი"-ის

დირექტორი

მერაბ წულუკიანი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

1 ივნისი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ ორი ერთეული მაცივრის (CPV**39700000-საოჯახო ტექნიკა**) გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში (ხელშეკრულების №72 დადების თარიღი 1.06.2016წ) მისი მონაწილეობა შპს „ოქეის“-თან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს:

დირექტორის პირველი მოადგილე — დავით ჭილაშვილი

ადმინისტრაციული დეპარატამენტის უფროსის მ/შ — ირაკლი შარაშენიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — ნათია მელელაშვილი

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი — რევაზ ჩხარტიშვილი

შემსრულებელი:

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსის მ/შ — ნათია მუკბანიანი